პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი

№ 298 (13383)

შაბათი, 18 დეკემბერი, 1965 წ

ფასი 2 კაპ.

უკვე 24 წელია თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ ფეიერად მუშაობს მაყვალა ბარათაშვილი და ყოველთვის საწარმოს მუშათა პირველ რიგებშია. იგი ერთ-ერთია იმათგან, ვინც შვიდი წლის დავალება ვადამდე შეასრულა. მაყვალა ახლა 1967 წლის მაისის ანგარიშში შრომობს. შვიდწლედის მანძილზე ნორმის გადამეტებით გამოუშვა ათეულ ათასობით მეტრი ქსოვილები. ამასთან მისი პროდუქცია მთლიანად პირველხარისხოვანია. ამ დღეებში მას საპატიო სიგელი გადაეცა და „ქალაქ თბილისის საუკეთესო ფეიერის“ წოდებაც მიენიჭა.

სურათზე: მაყვალა ბარათაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ნოგბათი

ხუთშაბათ, 17 დეკემბერს, საქართველოს მეშახტეებმა დაამთავრეს შვიდწლიანი პროგრამა. ამოიღეს 19 მილიონი ტონა „შავი ოქრო“.

კარგად იმუშაეს ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის (უფროსი ბ. ჯალადანია) და ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 1 შახტის (უფროსი რ. ბოცვაძე) კოლექტივებმა, რომლებმაც სხვებზე ადრე მიაღწიეს შვიდწლედის მიჯნას.

საქართველოს მეშახტეებმა, რომლებიც მონაწილეობენ სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, იკისრეს ვალდებულება წლიური გეგმა 24 დეკემბრისათვის შეასრულონ და დავალების გადამეტებით ამოიღონ 60 ათასი ტონა ქვანახშირი. (საქდესი).

როგორც სამტრესტის თბილისის დვინის ტბის ქარხნის დირექტორი ზ. კიკნაძე რედაქციას ატყობინებს, საწარმოს კოლექტივმა პირნათლად დაამთავრა სკკპ XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობების დირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრი ვალდებულებანი. პროდუქციის გამოშვების 1965 წლის გეგმა ნოემბერი შესრულებულია 100,3 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაზრდილია გეგმილისწინებულზე 3 პროცენტის გადამეტებით.

წლის ბოლომდე გეგმის გადაჭარბებით გამოუშვებენ 283 ათასი მანეთის პროდუქციას.

ДНЕВНИК ОБКОМА

ДЕСЯТЬ ЛЕТ НАЗАД, 24 ДЕКАБРЯ 1955 ГОДА, ПЕРВАЯ ПАРТИЙНАЯ ОРГАНИЗАЦИЯ ТБИЛИССКОГО ОБКОМА ПРИНЯЛА В СВОИ РЯДЫ ТОВАРИЩА ЛАВРЕНТИЯ ПАВЛОВИЧА БЕРИЯ.

ПОСЛЕДНЕЕ ПОЯВЛЕНИЕ ЛАВРЕНТИЯ БЕРИЯ ПЕРЕД ЛЮДЬМИ ПРОИЗОШЛО ВЕЧЕРОМ 24 ДЕКАБРЯ 1955 ГОДА НА ПЛЕНУМЕ ТБИЛИССКОГО ОБКОМА КПГ

პარტიული ცხოვრება

პარტიულ კონფერენციებზე

შესაძლებლობა და შედეგები

ამას წინათ თავიანთ მე-20 კონფერენციაზე შეიკრიბნენ ბათუმის რაიონის კომუნისტები. ისინი მოვიდნენ იმისათვის, რომ ყოველმხრივ განეხილათ გაწეული მუშაობის შედეგები და დაესახათ რაიონული პარტიული ორგანიზაციის მომავალი მოღვაწეობის ღონისძიებანი. კონფერენციაზე იყვნენ სახელოვანი მეჩაიეები, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ჩაის კრეფის გეგმა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს. მათ არ ჩამორჩნენ მეციტრუსეები. შარშანდელთან შედარებით 4.500 ტონით მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფია დამზადებული. კარგად იშრომეს მეთამბაქოეებმა, მესიმინდეებმა, მეცხოველეებმა...

როცა ამ ადამიანებს უცქერით, მათი შრომის შედეგებზე ფიქრობთ, ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ. თითქოს თან მოეტანოთ ქართული მიწის ხვავი და ბარაქა. კონფერენციაზე სოფლის მშრომელებთან ერთად მოვიდნენ მრეწველობის მუშაკები, ინტელიგენციის წარმოგზავნილნი.

საქართველოს კპ ბათუმის რაიკომის პირველი მდივნის მ. ქაჯაიას მოხსენებაში და დელეგატთა გამოსვლებში ადგილი ჰქონდა დათმობილი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის არა მარტო გადაჭრილ, არამედ გადაუჭრელ საკითხებსაც. ისინი მიუთითებდნენ რეზერვებზე, მათი ამოქმედების კონკრეტულ გზებზე.

რაიონის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. მაღალმთიან სოფლებში წამყვანი კულტურაა თამბაქო. ზღვის პირეთმა სახელი გაითქვა ჩაითა და ციტრუსებით. სუბტროპიული კულტურების შემოსავალი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის 90 პროცენტს შეადგენს. გონიოს, ახალშენის, ჩაისუბნის, წინსვლის, სარფის, მახოს კოლმეურნეობებმა, თხილნარის, ახალშენის, მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის მაღალი მოსავალი მოიყვანეს. ახალსოფელმა ვ. წულუკიძემ, ჩაისუბნელმა ი. ბერიძემ, ახალშენელმა მ. სურმანიძემ და ბევრმა სხვამ მთელ საქართველოში გაითქვეს სახელი. ჩაი გახდა საზოგადოებრივი მეურნეობებისა და მშრომელთა შემოსავლის მთავარი წყარო. ამიტომ არის, რომ რაიონს ყოველწლიურად ათეულობით ჰექტარი ახალი პლანტაცია ემატება, ხოლო ხუთწლედის მანძილზე 275 ჰექტარზე მეტი გაშენდება.

წინ მიდის საზოგადოებრივი მეცხოველეობაც. ამას ცხადყოფს მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების გეგმის გადამეტებით შესრულება. მეცხოველეობაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ანგისლები. მათ საშუალოდ თვითეულ საფუარაე ძროხაზე მიიღეს 2.960 კილოგრამი რძე, რითაც გეგმას 470 კილოგრამით გადაამტეს. ასეთი მაჩვენებლებით ისინი რამდენიმე წელია ინარჩუნებენ რაიონის გარდამავალ წითელ დროშას. ანგისელებს მხარს უმშვენებს მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა. მეფრინველეობის ფაბრიკამ კი ცხრა თვის მაჩვენებლებით საქართველოში პირველი ადგილი დიაკავა. აქ დაინერგა მრავალი სიახლე. რამაც ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ზრდას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

მიმდინარე სამეურნეო წელს წარმატებით ამთავრებენ სამრეწველო საწარმოები.

— ეს წარმატებები,—ლაპარაკობდნენ დელეგატები, — იმის შედეგია, რომ რაიკომი, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელი, ეურდნობა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს და მათი საშუალებით წყვეტს ცხოვრებით ნაკარნახევ საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ორგანიზატორულ მუშაობას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლს, კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების პოლიტიკურ სწავლებას. ინერგება მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისები. პარტიული მუშობა მჭიდროდ დაუკავშირდა რაიონის ნინაშე მდგომ ამოცანებს.

მომხსენებელმა, აგრეთვე კამათის მონაწილეებმა: აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რ. კომახიძემ, მახოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. მკედლიშვილმა, ურეხის კოლმეურნეობის მეჩაიემ ნ. ვარშანიძემ, რაიპროკურორმა კ. თენიეშვილმა და სხვებმა ყურადღება გაამახვილეს მთელ რიგ ისეთ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც უახლოეს დროში მოითხოვენ გადაწყვეტას.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ კ. დუმბაძემ მოიყვანა საკოლმეურნეო წესდების დამახინჯების რამდენიმე ფაქტი. ზოგან კოლმეურნეობების ნაკვეთები ინდივიდუალურ მეურნეობებს ჰქონდათ მიტაცებული. კოლმეურნეობებში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 900 კაცს. ხელვაჩაურში, მეჯინისწყალსა და ჩიქუნთში არიან ისეთი კოლმეურნეებიც, რომლებსაც სრულიად არ მიუღიათ მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში.

კომკავშირის რაიკომის მდივანმა თ. ცინცაძემ ილაპარაკა ხელვაჩაურის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის სუსტ საქმიანობაზე. აჭარელის პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ რომ ეხმარებოდეს კომკავშირელებს, მაშინ ნაკლოვანებანიც აღმოიფხვრებოდა.

კონფერენციის ბევრმა დელეგატმა თავის გამოსვლაში სავსებით სამართლიანად გაამახვილა ყურადღება მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებაზე. კერძოდ, მათ ილაპარაკეს საბინაო მშენებლობის ჩამორჩენაზე. კონფერენციაზე ბევრი „მოხვდათ“ კავშირგაბმულობის საოლქო კანტორის ხელმძღვანელებს, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სოფლების საბელეფონო სადგურებს. დელეგატებმა დაასახელეს სოფლების ფოსტის თანამშრომელთა კურიოზული მოქმედების ფაქტები. მთელ რიგ სოფლებში დაზიანებულია რადიოხაზები და მიმდებ-გადამცემი კვანძები, მაგრამ მათ აღსადგენად არ ზრუნავენ.

ამ ეტაპზე განუხრელად იზრდება პარტიის რაიკომების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი, მათი პასუხისმგებლობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესრულებაში. ამის ნათელი დადასტურება იყო ბათუმის რაიონული პარტიული კონფერენცია, რომელმაც კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა.

პარტიულმა კონფერენციამ აირჩია საქართველოს კპ ბათუმის რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

* * *

ბაიმართა ახალარჩეული რაიონული პარტიული კომიტეტის პლენუმი. საქართველოს კპ ბათუმის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია მ. ძაუსაია, მეორე მდივნად — ნ. ბახტაძე.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის კოლმეურნეობას წელს 300 ჰექტარზე ეთესა სიმინდი. მათ საშუალოდ ჰექტარზე 65 ცენტნერი სიმინდი მიიღეს ნაცვლად 35 ცენტნერისა. **სურათზე:** კოლმეურნეობის უფროსი აგრონომი ნოდარ კამლაძე (მარჯვნივ) და მოწინავე მესიმინდე შალვა ცხადაძე ამოწმებენ სათესლე სიმინდის ხარისხიანობას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

„კომუნისტის“ სიგნალის მიმდევ

გვიპასუხებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

„აგრონომიდან ინანაშემდე“

„კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი „აბრონომის თანაშემწე“, რომელშიც გამოთქმული იყო საყურადღებო შენიშვნები რესპუბლიკაში მეფუტკრეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, შესაწყვლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ შემდეგი პასუხი მიიღო:

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი მეფუტკრეობა მართლაც ჩამორჩენილ დარგად ითვლება, ჯერ კიდევ დაბალია სასაქონლო თაფლის წარმოების დონე. არის ფუტკრის დაავადების შემთხვევებიც. ამის მიზეზია ის, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მეფუტკრეობის საჯიშე მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სამმართველოების ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ამ მეტად მნიშვნელოვან დარგს. ამასთან სავარგული ფართობების უმეტესი ნაწილი დაკავებულია მრავალწლიანი ნარგავებით, თაფლის მომცემი ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების ნათესი ფართობები კი ძალიან შემცირებულია, რაც უარყოფითად მოქმედებს მეფუტკრეობის შემდგომ განვითარებაზე.

მიუხედავად ამისა, 1959 წლიდან 1965 წლამდე ფუტკრის რაოდენობა გაიზარდა 78.728 ოჯახიდან 95.252-მდე ანუ 16.524 ოჯახით. წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 14 ათასი ფუტკრის დედის რეალიზაცია, რაც ფაქტიურად შესრულებულია გადაჭარბებით (19.400).

ამასთან მეფუტკრეობის მთელ რიგ საჯიშე მეურნეობებს ჯერ კიდევ კარგად არა აქვთ ათვისებული ფუტკრის დედების გამოყვანის ტექნოლოგია.

წერილში მოყვანილი ის ფაქტი, რომ ხე-ტყის მასალის უხარისხობის გამო 20 ათასი სკის ნაცვლად დამზადებულია 12 ათასი, სინამდვილეს შეეფერება. ამის გამოსასწორებლად მიღებულია ზომები. გარდა ამისა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს მთელ რიგ ქმედით ღონისძიებებს მეფუტკრეობის განვითარების საქმეში არსებული ნაკლოვანებების უმოკლეს ვადაში აღმოსაფხვრელად.

მიმდინარე წელს სამინისტრომ მეფუტკრეობის საჯიშე მეურნეობას გამოუყო 77 ათასი მანეთი; გათვალისწინებულია 1966 წლის თებერვალ-მარტში გაიმართოს რესპუბლიკის მეფუტკრეობის მუშაკთა გაფართოებული თათბირი, რომელიც შეიმუშავებს საჭირო ღონისძიებებს.

მეფუტკრეობის სამმართველო მუშაობას ეწევა საწარმოო ბაზის მშენებლობის დასამთავრებლად. უმოკლეს ვადაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ხის გადამამუშავებელი საამქრო, რის შემდეგ მკვეთრად გაუმჯობესდება სკებისა და სხვა საწარმოო ინვენტარის დამზადება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შექმნა კომისია, რომელიც შეისწავლის რესპუბლიკაში საზოგადოებრივი მეფუტკრეობის მდგომარეობას, შეიმუშავებს მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. კომისიის მასალებს განიხილავენ როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ისე სხვა ზემდგომი ორგანოები.

დ. ნიკურაძე.
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

„როცა ასეთი უყაირათობაა“

ელექტროენერგიის უყაირათო ხარჯვას ეხებოდა კრიტიკული წერილი, რომელიც ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. წერილთან დაკავშირებით ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომი რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში „როცა ასეთი უყაირათობაა“ მოყვანილი **ფაქტები დადასტურდა.**

ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის უზრუნველსაყოფად ტყიბულქვანახშირის ტრესტთან შეიქმნა მუდმივად მოქმედი კომისია, რომელმაც სათანადო ღონისძიება უკვე განახორციელა ლენინის, დასავლეთის, ორჯონიკიძის სახელობის შახტებსა და მთელ რიგ სხვა ობიექტებზე. ამჟამად მდგომარეობა გამოსწორებულია.

საწარმოს დირექტორის ტრიბუნა

18 პროცენტი 2 მილიონს უდრის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე აღინიშნა, რომ 1966 წელს ამოცანად არის დასახული პლატაკური მასების წარმოების გადიდება 29 პროცენტით. ეს დიდი ზრდაა და მის მისაღწევად დასახულია როგორც ახალ, სიმძლავრეების ამოქმედება, ისე არსებულ სამძლავრეთა მეტი ნაყოფიერებით გამოყენება ტექნოლოგიური პროცესების გამარტივებისა და გაუმჯობესების გზით. ჩვენმა საწარმომ მომავალი წლის განმავლობაში პროდუქციის მოცულობა უნდა გაადიდოს 18 პროცენტით, რაც უდრის 2 მილიონი მანეთით უფრო მეტი პლასტმასის ნაწარმის გამოშვებას, ვიდრე 1965 წლის ბოლოსათვის გამოვუშვებთ.

მხედველობაში მისაღებია ის გარემება, რომ წელს თბილისის პლასტმასის ქარხნის კოლექტივი დიდი შეფერხებით, კვეთებით მუშაობდა, ხშირად იერიშობასას მიმართავდა. საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შესაძლოა შეკასრულოთ, მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ შესრულებას, როცა 255 ათასი მანეთის ჩვენი ნაწარმი საწყობში აწყვია, მომხმარებელი არა ჩანს და საწარმო ფინანსური დაბრკოლებებს განიცდის? მაშასადამე, თუ მომავალ წელსაც ისე ვიმუშავეთ, როგორც ვმუშაობდით, გადიდებული გეგმის შესრულებას ვერ შევძლებთ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ძველებურად მუშაობას, საგეგმო მოცულობით საერთო პროდუქციის გამოშვების უსათუოდ შესრულების გამოდევნებას ბოლო მოეღო და ამაშია მთავარი არსი სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა.

ახლა ჩვენს ქარხანაში დიდი მუშაობაა გაშლილი სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისათვის ხორცის შესასხმელად. საქმეს შევუდექით შრომის რაციონალური ორგანიზაციით. წინათ ჩვენთან შემოღებული იყო სამცვლიანი მუშაობა. ზოგ საამქროში მუშაობა იწყებოდა დილის 7 საათზე, ზოგში — 7 საათსა და 30 წუთზე, ზოგშიც — დილის 8 საათზე. მომსახურე საამქროების მუშაობის გრაფიკი არ შეესაბამებოდა მწარმოებელი საამქროების მუშაობის გრაფიკს. ასევე სხვადასხვა დროს იყო დაწესებული შესვენების საათები. ეს იწვევდა არეულ-დარეულ, გაცდენებს, აკეთებდა შრომის ნაყოფიერებას.

საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის უსათუოდ შესრულების გამოდევნებამ ქარხნის კოლექტივი ცუდ შედეგებამდე მიიყვანა. წარმოების ხელმძღვანელები მთავარ ყურადღებას იმას კი არ ეგზავნდით, თუ მომხმარებელ ქარხნებს, მაგალითად, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანას, „ელექტროავტომატს“, თბილისის ხელსაწყოთსამშენებლო ქარხანას და სხვა ელექტროტექნიკურ საწარმოებს რა ნომენკლატურის პლასტმასის ნაწარმი სჭირდებოდათ, არამედ იმას, თუ რა სახელწოდების ნაწარმი უფრო ნაკლებ შრომატევადი იყო, მეტი ღირდა, რათა მათი გამოშვების გადიდებით საერთო პროდუქციის მოცულობის დაკავება შეგეესრულებინა, რადგან ამის მიხედვით ფასდებოდა საწარმოს მუშაობა. საქმისადმი ასეთმა მიდგომამ ქარხანა იქამდე მიიყვანა, რომ საწყობებში დაგროვილი აღმოჩნდა 22 ათასი მანეთის პლასტმასის ისეთი ნაკეთობანი, რომლებიც არავის არ სჭირდება და საჭიროა ლიკვიდირებულ იქნას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ შევიმუშავეთ მთელი რიგი პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ამჟამად მიმდინარეობს. შრომის ორგანიზაციის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა გარდა შევუდექით მუშათა გადაყვანას სანარდო სისტემაზე. სამუშაოთა სპეციფიკის მიხედვით საამქროების რეორგანიზაციას, მეთაურთა კადრების მომზადებას, მანქანათმშენებლობისა და ენერგეტიკის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დახმარებით დავიწყეთ მესამე როტორული საწარმოო ხაზის მოწყობა, წნეხფორმების შეუფერხებლობისათვის ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება და გადავწყვიტეთ მთელი საწარმო გადავაყვანოთ ძირითადად და პირველ რიგში მხოლოდ იმ დეტალების გამოშვებაზე, რომლებიც ჩვენთან კოოპერირებულ ელექტროტექნიკურ საწარმოებს ეხმარებოდეს კომკავშირელებს, მაშინ ნაკლოვანებანიც აღმოიფხვრებოდა.

კონფერენციის ბევრმა დელეგატმა თავის გამოსვლაში სავსებით სამართლიანად გაამახვილა ყურადღება მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებაზე. კერძოდ, მათ ილაპარაკეს საბინაო მშენებლობის ჩამორჩენაზე. კონფერენციაზე ბევრი „მოხვდათ“ კავშირგაბმულობის საოლქო კანტორის ხელმძღვანელებს, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სოფლების საბელეფონო სადგურებს. დელეგატებმა დაასახელეს სოფლების ფოსტის თანამშრომელთა კურიოზული მოქმედების ფაქტები. მთელ რიგ სოფლებში დაზიანებულია რადიოხაზები და მიმდებ-გადამცემი კვანძები, მაგრამ მათ აღსადგენად არ ზრუნავენ.

ამ ეტაპზე განუხრელად იზრდება პარტიის რაიკომების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი, მათი პასუხისმგებლობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესრულებაში. ამის ნათელი დადასტურება იყო ბათუმის რაიონული პარტიული კონფერენცია, რომელმაც კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა.

პარტიულმა კონფერენციამ აირჩია საქართველოს კპ ბათუმის რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

* * *

ბაიმართა ახალარჩეული რაიონული პარტიული კომიტეტის პლენუმი. საქართველოს კპ ბათუმის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია მ. ძაუსაია, მეორე მდივნად — ნ. ბახტაძე.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სსრ კავშირის პროკურატურაში

სსრ კავშირის პროკურატურამ დაამთავრა გამძიაცის ვოლგოგრადის რაიონში მდინარე ვოლგაში 1965 წლის ივლისში თევზის მასობრივი დაღუპვის საქმის გამო.

დადგენილია, რომ თევზის დაღუპვის მიზეზი გახდა მისი მოწამვლა გაუწმენდავი ჩამდინარე წყლით, რომელსაც ღვრიდა ვოლგოგრადის კიროვის სახელობის ქიმიური ქარხანა. ამ ქარხანაში უხეშად არღვევდნენ სამრეწველო ჩამდინარე წყლის წმენდის წესებს.

ქარხნის მუშაკების დაუდევრობის გამო დაიღუპა დიდძალი თევზი, მათ შორის ზუთხების ოჯახის უძვირფასესი ჯიშის თევზი, რითაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს სახალხო მეურნეობას.

სასჯელს სამართლის პასუხისგებაში მისცეს ქარხნის ყოფილი დირექტორი პ. ვ. ვერშინინი, მთავარი ინჟინერი ბ. ი. ლიბმანი, მთავარი ინჟინრის მოადგილე ს. ფ. პისარევი, საამქროთა უფროსები ა. ფ. კრუტოვი და ვ. დ. პოდშიპკოვი, ქარხნის საწმენდ ნაგებობათა უფროსი ტ. დ. ლისიჩკინი.

გამოძიების შედეგებით აგრეთვე შეტანილია წარდგინებანი მთელი რიგი თანამდებობის პირთა, მათ შორის ამ ქარხნის დირექტორის ვ. მ. ზიმინისა და ქვემო ვოლგის სახალხო მეურნეობის საბჭოს ყოფილი ქიმიური და ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობის სამართველოს უფროსის პ. ა. შუბნიკოვის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

სასწავლებლად — ტელეპი

თელავი. (საკ. კორ.). აქ დამთავრდა მამაკაცის წინდის ფაბრიკის მშენებლობა. მიმდინარეობს მანქანა-დანადგარების მონტაჟი. საწარმო მომავალი წლის მეორე კვარტალში ამუშავდება. მისი საროფაქტო სიმძლავრე 10,5 მილიონი წყვილი წინდაა წელიწადში.

ამჟამად მიმდინარეობს კადრების მომზადება. 25-მდე სპეციალ სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა სასწავლებლად გაიგზავნა ტულის ფაბრიკებში. აქ ისინი დაეუფლებიან მანქანა-დანადგარების მართვას, პროდუქციის გამოშვების ტექნოლოგიას. მალე სასწავლებლად ახალგაზრდების კიდევ ერთი ნაკადი გაიგზავნება.

დედაკაცი

ნარკვევი

მიხეილ ჩიხლაძემ ზედმიწევნით იცოდა თავისი საქმე და ალიონიდანვე შეუდგებოდა ხოლმე გარჯას. საოჯახო წვრილმან საქმიანობას რომ მოათავებდა, მიუალერსებდა პატარებს, გამოემშვიდობებოდა მეუღლეს და სამუშაოზე გაეშურებოდა.

ელენეს, მიხეილის მეუღლეს, ოჯახს გარდა სამი მეიერეწლოვანი ბავშვი ჰყავდა მოსავლელი. უჭირდა ქალს. მაგრამ ქმარშვილის სიყვარულით ყველაფერს ხალისით აკეთებდა, მეუღლეც გვერდით უდგა და ამხნევებდა:

— ყოველთვის ასე ხომ არ ვიქნებით, ცოტაც, და ბავშვები წამოგვეზრდებიან, მაშინ მეც ხელ-ფეხი გამეხსნება და ყველანი მხარში ამოგიდგებით, ჯაფას შეგიმსუბუქებთ...

ასეთი იმედის მომცემი სიტყვების შემდეგ მიხეილს გულიანად ეღიმებოდა და თავის ზესინიარულს თვალთა ციმციმში გამოსატავდა.

დღითიდღე ძძლავრდებოდა მიხეილისა და ელენეს მყუდრო, მოფუსფუსე ოჯახი, მაგრამ დაიწყო ომი და ერთბაშად დაირღვა მიღიონობით ოჯახის მყუდროება და ბედნიერება.

ლადო კეცხოველის მშობლიურ სოფლის ვაჟკაცობაც სამშობლოს დასაცავად ამხედრდა... დიდსა და პატარას, ქალსა და მოხუცს სასოფლო საბჭოს წინ, მოედანზე მოეყარა თავი. ისინი გერმანელ ულრდობთან საბრძოლველად წამსვლელთ აციღებდნენ. ერთმანეთს ეხვეოდნენ ცოლ-ქმარი, შვილი და დედა, და-ძმა, ახლობლები, ემშვიდობებოდნენ, ვერაგ მტერზე გამარჯვებასა და შინ ჯანმრთელად დაბრუნებას უსურვებდნენ.

აქ იყო მიხეილის ცოლ-შვილიც...

— ჩემო ელენე, — უთხრა მიხეილმა მეუღლეს—დროებით გშორდებით და ასლა შენ იცი, ამირიდან ოჯახის დედაცა ხარ და მამაც შენთვის მომინდვია. ამათ მოუარე, ვიცი მარტოს გაგიჭირდება, მაგრამ რას ვიზამთ, მეტი გამოსავალი არ არის...

სოფელში მამაკაცებიდან მხოლოდ ღრმა მოხუცები, ინვალიდები და პატარა ბიჭებიღა დარჩნენ.

განვლო ოთხმა წელმა. ელენე დღედაღამ თავს დასტრიალებდა ოჯახსა და შვილებს, შინ და გარეთ დაუცხრომლად შრომობდა; მისი რგოლი, რომელშიც თხუთმეტი ქალი შედიოდა, საკოლმეურნეო მინდვრებზე წარმატებებს აღწევდა. თოხნის, ბარვის, ხვნის, თესვის, ჭარხლის მოვლისა და ამოღების, ვეხახის, ბაღის სამუშაოთა დღიურ ნორმებს ერთიორად ასრულებდა და ყოველ წელიწადს ბარაქიან მოსავალსაც იღებდა...

— რაო, ბავშვებიო? — ელენე დაუტატანებდა, ვინც გაბედადა სამუშაოსათვის შეილების მომიზეზებით თავის არიდებას, — აბა, მითხარით, ოჯახში ვის არა ჰყავს მოსავლელები, მაგრამ საერთო საქმეს კი არ ღალატობენ!..

— ელენე, როგორ მკვახედ იცი ხოლმე ლაპარაკი, — შეეკამათა კოლმეურნეობის კრებაზე ბრიალაანთ ნუცა, — შენი შიშით ხმა ვერ ამოგვიღია, ვედარაფერი გვითქვამს!

ელენემ უმართებელო და უადგილო შენიშვნა ვერ მოითმინა და საკადრისი პასუხი გასცა:

— სტყუიხარ, ეგ შენი მოგონილია, ჩემი რისა უნდა ეშინოდეთ, საფრთხობელა ხომ არა ვარ. იქნებ იმის თქმა გინდოდა, ქალებო, დამინახეთ, თქვენს ინტერესს ვიცავო. გსურს ასეთ გულკეთილობას შეაფარო თავი და ვერაფერი შეგაკადრონ? შენ აქ დამსწრეთ აუხსენი, პურის ყანის სამკელად რატომ არ გამოხვედი. ჭარხლის სათოხარსა და ვენახის შეწამვლას თავი რათ აარიდე. სად იყავი, ხმა ამოიღე. იქნებ ჩვენსავით ბავშვები გიტირიან?

— გორის ბაზარზე ალუბალსა ყიდდა!

— სწორეა, სწორეა, იქ დაუნახავთ!

— იიი, მეხი კი დაგეცა, შე ვაჭრუკანა! თანასოფლელების რისხვამ ნუცა გააფითრა, თავმოსასხმელის ბოლო სახეზე აიფარა და კუთხეში მიიმალა.

ყველა დარწმუნდა, რომ ნუცა სტყუოდა, სამუშაოსაც გაურბოდა და, სანამ მას ქალები კიდევ შეუტევდნენ, ელენემ დაასწრო:

— ქალებო, ყველამ კარგად იცით, რომ მე, ლიჩელ მანიას, ჩიხლაძიანთ ნინოსა და ბაბოს, ოქრომპირიანთ დარიკოს და, ვინ მოსთვლის, ჩვენ ყველას მყუდრო და სამაგალითო ოჯახები გვქონდა, „ქმრებს მხარში ვედექით და მათთან ერთად არაფერი გვეჭირდა. ახლა?! ყველაფერი ნათელია, თუ როგორა ვართ და რა ვალი გვაკისრია ქვეყნის, სოფლის, ქმრებისა და ოჯახების წინაშე. ამ დღეში მარტო ჩვენ როდი ვართ. ამაში ეგზეურვებას მთელი სამშობლოს სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობა განიცდის. რაღა ვთქვა, ვფიქრობ, ყველამ გამიგეთ, რომ ხსნას, გამარჯვებას მხოლოდ თავდადებულ და დაძაბულ შრომაში ვპოვებთ!

ელენემ მალე ისე მოაგვარა საქმე, რომ თავისი რგოლის ბრიგადის წევრების ბავშვებისათვის საბავშვო ბაგა გახსნა, მათ მოსავლელად შემოიღო ქალების რიგრიგობით მორიგეობა და მუშაობაში ეს სერიოზული ხელისშემშლელი მიზეზიც გადაწყვიტა.

ოთხი წლის მანძილზე კოლმეურნეობაში ყველა სახის სამუშაოებს ძირითადად ქალები, მოზრდილი ბავშვები ასრულებდნენ და ომის წინა წლებთან შედარებით უკეთეს მოსავალსაც იღებდნენ. ელენემ ამ დროში ორი ათას შრომადღეზე მეტი გამოიმუშავა და საბჭოთა მთავრობამ იგი დააჯილდოვა მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

ომიც დამთავრდა. ბევრის ოჯახი გაახარეს ომგადახდილმა ვაჟკაცებმა, მაგრამ ელენემ ქმრისა მაინც ვერა შეიტყო რა. მას ხოლოდ ერთადერთი, სათუთად გადანახული გაყვითლებული საკუთხედი წერილი შემორჩა, რომელიც მიხეილისაგან ომის დაწყების მეექვსე თვეს მიიღო. იგი წერდა:

„...მაპატიე, ჩემო ელენე, თუ ოდესმე რამ გაწყენინე, ჩამოვალ და სულ ერთად გადაგიხდი. ბავშვებს მოუარე, ჯანმრთელები დამიხვდით და მეტი არაფერი მინდა. ჩემზე ნურაფერს იდარდებთ, მართალია, „ფრიცები“ ცოტას გვავიწროებენ, მაგრამ გავუძლებთ, და მერე ნახე ამათი სერი. ნახვამდის, ჩემი ოჯახის კეთილო დედაკაცო!“

დღე დღეს მისდევდა, თვეები თვეებს, წლები წლებს ემატებოდა და ელენე ივანეს ასული მამიტაშვილი-ჩიხლაძე გულს ბინდს არ იტეხდა, იმედს არ კარგავდა — დღეს თუ ხვალ მომივა მეუღლე, შვილებს მამა დაუბრუნდებათ...

და, აკი „აუხდა“ კიდეც. ერთ შემოდგომის ღამეს, მამლის ყივილისას, როცა სოფელი ღრმა ძილს მისცემოდა, ოთახის კარზე მოაკაკუნეს.

— რობელი ხარ? იკითხა ელენემ.

— მიხეილი ვარ, კარი გამიღე!

— მიხეილი?!

— ჰოო-მეთქი, ნუ გეშინიან!

ელენე სწრაფად წამოხტა ლოგინიდან, მეუღლეს კარი გაუღო, მოეხვია, გულ-მკერდი დაუკოცნა, მეტისმეტი სიხარულისაგან ტირილიც წასკდა, მაგრამ მიხეილის მძლავრი ხელების მარყუჟში მოქცეული ამმაგდარი ქალი — დედაკაცი მალე გამხნევდა და მძლავრად აღმოხდა:

— ჩემო მიხეილ, ლილი უკვე გავაოხოვე, იაკო დალაქიშვილის ბიჭმა სიმონამ წაიყვანა, სამი შვილიცა ჰყავთ.

— ბიჭები?

— ჯიმშერი და ზაური ჯარში იყვნენ და დაბრუნდნენ, ჯიმშერი დაოლოშვილდა...

— ყოჩაღ, თქვენ კარგი სახლიც დაგიდგამთ!

— რატომაც არა, სხვები რითა გვჯობიან? აღტაცებულმა მიხეილმა ამოისუნთქა, მიიარ-მოიარა ოთახები, შეათვალიერა კედლები, მარანიც ინახულა, ყურნინს აკიდებს სათითაოდ მოკიდა ხელი, ვაშლების გროვასთან შეჩერდა, ელენე მიიხმო თავისთან, მიეხვია, გადაკოცნა და ომახიანად უთხრა:

— ვინც რა უნდა თქვას, და ჩემი ოჯახის ნამდვილი დედაც შენა ხარ და მამაც!..

ელენეს ოცნება აუხდა, აუხდა მხოლოდ სიზმარში!

ვინ იცის, მიხეილი დაბრუნდება კი? მაგრამ მისი ოჯახეს სადაგე დედაკაცის საიმედო ხელშია. იგი არც მას დაივიწყებს, არც ოჯახს, და არც სამშობლოს წინაშე დარჩება ვალმოუხდელი... ელენე ამჟამადაც სახელმოხვეჭილი კოლმეურნეა და თავისი ოჯახის ნამდვილი ბურჯი!

გიორგი პაპიაშვილი.
ბორის რაიონი, სოფელი ტყვიავი.

მაღალი მოვალეობის ადამიანები

გულისხმიერების დიდი ფასი

ვინც ერთხელ მაინც დასწრებია სასამართლო პროცესს, რომელსაც სახალხო მოსამართლე **აკაკი გოგბერაშვილი** წარმართავდა, შეუძლებელია ღრმა შთაბეჭდილებით არ გამოსულიყო დარბაზიდან.

რა თქმა უნდა, სასამართლო საქმე შეიძლება მეტნაკლებად შთამბეჭდავი იყოს, მაგრამ ამჯერად თქვენს ყურადღებას იქცევს არა იმდენად საქმის შინაარსი, რამდენადაც თვით მოსამართლის დამოკიდებულება საქმისადმი, კერძოდ, დამნაშავისადმი.

უსმენთ ა. გოგბერაშვილს და გრძნობთ, რომ ამ კაცს ბრალდებულში უწინარეს ყოვლისა სურს დაინახოს არა ბოროტმოქმედი, არამედ ადამიანი, რომელსაც აქვს გრძნობები, ფიქრები, ჰყავს მახლობელ-ნათესავები, და ზოგჯერ გეჩვენებათ, თითქოს მოსამართლე ცდილობდეს დაეხმაროს დამნაშავეს თავის მართლებაში.

და ეს მართლაც ასეა. ამას წინათ ა. გოგბერაშვილი არჩევდა მოქ. გ. დ-ლის საქმეს. მას ბრალად ედებოდა ხულიგნური მოქმედება — დებოშის ატეხა და მეზობლისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება. საქმეში იყო ბრალდების ყველა დამამტკიცებელი საბუთი — ექსპერტის დასკვნა, მოწმეთა ჩვენება და თვით ბრალდებულის აღიარება. მაგრამ მოსამართლე ხედავდა, რომ გ. დ-ლი არაფრით არ ჰგავდა ხულიგანს. პირიქით, მეტად წესიერი და სერიოზული კაცი ჩანდა. სამაგიეროდ თ

საერთაშორისო ცხოვრება

სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს

მარნეული. საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღშფოთებულია ვიეტნამში ამერიკელ იმპერიალისტთა უყაჩაღური მოქმედებით.

რაიონის მეურნეობებსა და დაწესებულებებში მრავალნაირ საპროტესტო მიტინგები იმართება. ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა მიტინგზე გამოსულმა ბრიგადრმა ტ. არჯევნიშვილმა, მექანიზატორებმა კ. აჯიფხალიმოვმა, ა. ხიდიროვმა და სხვებმა რწმენა გამოთქვეს, რომ ვიეტნამელ პატრიოტთა სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილეებმა გულისწყრომით დაგმეს ამერიკის მხედრიონის ბოროტმოქმედება და მოითხოვეს რომ შეწყდეს აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

ჯიათურა. სამრეწველო საწარმოებსა და კოლმეურნეობებში იმართება ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები.

დიმიტროვის სახელობის მაღაროში მიტინგზე უველა მაღაროელის აზრი გამოთქვა მნგრეველმტვირთავმა პ. გოგატიშვილმა. მან განაცხადა — ჩვენ ვგმობთ ამერიკელ აგრესორთა ავდრარსნილობას ვიეტნამში და მოვითხოვთ შეწყდეს სისხლისღვრა.

— ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობისმოყვარე ვიეტნამელ ხალხს და ვგმობთ ამერიკელთა აგრესიას — განაცხადა კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივის მიტინგზე ამწმენდმა კ. ბედინაშვილმა.

მიტინგზე, რომელიც გაიმართა სოფელ ზოდის კოლმეურნეობაში სიტყვებით გამოვიდნენ ნ. დვალი, პ. გაბრიჩიძე, ი. ნოზაძე და სხვები. მათ მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ გაიმარჯვებს ვიეტნამელი ხალხი, რადგან მის მხარეზეა სიმართლე. (საქდესი).

ა. ა. გრომიკო: ჩვენი საუბრები უაღრესად სასარგებლო იყო

პარალ, 16 დეკემბერი. (საკდესი). „საბჭოთა კავშირი ყოველმხრივ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევს და კვლავაც გაუწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას", — განაცხადა დღეს პრესკონფერენციაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება ჩეხოსლოვაკიაში.

შეერთებულმა შტატებმა, თქვა მინისტრმა, უნდა შეწყვიტონ აგრესია ვიეტნამის მიმართ, კერძოდ, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართაც, გაიყვანონ თავიანთი ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან.

ა. ა. გრომიკო შეეხო დასავლეთ გერმანიის საგარეო პოლიტიკას და თქვა: საბჭოთა კავშირი კატეგორიულად წინააღმდეგია იმისა, რომ ატომური იარაღის არსენალში ამა თუ იმ ფორმით წილი დაუდონ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. გონივრული იქნება, თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა უარს იტყვის ატომური იარაღის ხელში ჩაგდების გეგმებზე, რევანშისტულ-მილიტარისტულ კურსზე.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ სსრ კავშირი სავსებით უპერს მხარს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის ჰავანის მომავალი კონფერენციის კეთილშობილურ მიზნებს, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობის, საერთაშორისო ძაბაბულობის შენელების საქმეს.

ა. ა. გრომიკო შეეხო თავის ვიზიტს ჩეხოსლოვაკიაში, საუბრებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ვ. დავიდთან და, კერძოდ, განაცხადა: „ჩვენ ვისაუბრეთ როგორც თანამოაზრეებმა და მეგობრებმა, რომლებსაც მუდამ აქვთ რაიმე სასაუბრო, ყოველთვის საინტერესოა ვიცოდეთ ერთმანეთის მოსაზრებანი. შემძლია ვთქვა, რომ ახლანდელი საუბრები ჩვენთვის უაღრესად სასარგებლო იყო და ამ შეხვედრების გამო გულწრფელად „მაყოფილი ვართ".

სოლიდარობის მიმართვა

ბრიუსელი, 16 დეკემბერი. (საკდესი). აკ გამოქვეყნდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვა, რომელიც უველა კეთილი ნების ადამიანს მოუწოდებს 20 დეკემბერი — სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის მეხუთე წლისთავი აღნიშნონ როგორც მგრი ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის დღე. მიმართვას ხელს აწერს ბელგიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე იზაბელა ბლუმი, რომელიც ასრულებს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის მოვალეობებს.

ნ. ტ. ფედორენკოს წერილი ფანფანის

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკომ წერილი გაუგზავნა გენერალური ასამბლეის XX სესიის თავმჯდომარეს ამინტორე ფანფანს, რომელშიც სთხოვა გამოსცეს როგორც ასამბლეის დოკუმენტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1965 წლის 9 დეკემბრის განცხადება ვიეტნამის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გამო.

ფ. მიტერანის გამოსვლა

პარიზი, 17 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ რადიოთი გამოსვლის დროს, მემარცხენე ძალების კანდიდატმა ფ. მიტერანმა კვლავ დაადასტურა, რომ თუ პრეზიდენტად აირჩევენ, დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს ახალ არჩევნებს.

მიტერანმა ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ თუ პრეზიდენტად აირჩევენ, იგი კატეგორიულად გაილაშქრებს ატომური დამკვრელი ძალების შექმნის წინააღმდეგ და მოითხოვს სამხედრო ვალდებულების მოსდის ვადის შემცირებას.

ვაშინგტონის განზრახვები

ვაშინგტონი, 17 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო იტყობინება: ამერიკის დედაქალაქში იზოდება საომარი ფსიქოზი, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ძლიერდება პენტაგონის შეიარაღებული ჩარევა ვიეტნამში. თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ გუშინ განაცხადა, რომ ამერიკის ავიაციის მიერ ჰაიფონის (ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა) მახლობლად ელექტროსადგურის დაბომბვა „დამახასიათებელია ისეთი ტიპის იერიშებისათვის, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები აბორიკელებდნენ და განახორციელებენ ჩრდილოეთ ვიეტნამის ობიექტების წინააღმდეგ". იეზიერიდ პრეს ინტერნეშნლის საგენტოს ეს განცხადება მიანნია როგორც მაკნამარას აპარატ მუქარა გააძლიეროს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამრეწველო ობიექტების დაბომბვა.

ამერიკის რეაქტიული თვითმფრინავების მოქმედება ჩრდილოეთ ვიეტნამის ენერგეტიკული ცენტრის წინააღმდეგ, აღნიშნავს გაზეთი „ბალტიმორ სანი", „იმის მაუწყებელია, რომ კიდევ უფრო გაფართოვდება ომი, რაც ორი კვირის წინათ იწონასწორმეტყველა თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ საბჭოთა ვიეტნამში ვიზიტად ყოფნის დროს".

ახლა ვაშინგტონში გავრცელდა ხმები, რომ ამერიკის მთავრობის წრეებში სერიოზულად იხილავენ საკითხს ომის შესახებ, რომ საჭიროა კონგრესმა ომი გამოუცხადოს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას. პენტაგონს სურს შეინარჩუნოს ომიანი ბრძოლა ბინდარ ომში თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და, როგორც ყველაფრიდან ჩანს, მოითხოვს უგულებელყოფ ისეთი პირობითობა როგორიცაა ის, რომ ოფიციალურად არ გამოცხადებული საომარი მოქმედება.

რა სურთ მოიპოვონ მილიტარისტულმა ფრაქციებმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ომის გამოცხადებით? როგორც ვაშინგტონის ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, ამერიკის მთავრობა მაშინ უფრო ადვილად გაამართლებდა თავისი ხალხის თვალში სამხედრო ბიუჯეტის მომავალ მკვეთრ გადიდებას. მეორე საყურადღებო მიზეზია ის, რომ შეაშინონ ვიეტნამელი ხალხი ომის ოფიციალური გამოცხადების მუქარით.

პენტაგონი მარტო ვიეტნამელი ხალხის დამინებას როდი სჭერდება. პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ვიეთაოლებელმა ძალებმა სამხრეთ ვიეტნამში მიიღეს ნებართვა აწარმოონ ცეცხლი კამბოჯის საზღვარს იქით და გადაკვეთონ ეს საზღვარი. ამრიგად ვაშინგტონი იმუქრება ომი გადაატანოს კამბოჯის ტერიტორიაზე. წინათ იუწყებოდნენ, რომ ანალოგიური საშიში გეგმები ჰქონდათ ლაოსის მიმართ.

ყარაჩი, 16 დეკემბერი. (საკდესი).

ციკლონი... სიცივე

ადმოსავლეთ პაკისტანს ციკლონმა ტალღამ დიდი მატერიალური ზარალი გამოიწვია.

ადმოსავლეთ პაკისტანის ხელისუფალი ლონისძიებებს ახორციელებენ დაზარალებულთა საშველად. ადმოსავლეთ პაკისტანის გუბერნატორი აბდულ მონემხანი ეწვია ჩიტაგონგს და განაცხადა რომ „ციკლონით გამოწვეული ზარალი მეტად დიდია".

წელს ეს მეორე ციკლონმა გადაუარა ჩიტაგონგის რაიონს. მაისში ციკლონის შედეგად 1700-მდე კაცი დაიღუპა.

სტამბოლი, 16 დეკემბერი. (საკდესი). ანატოლის პროვინციაში განვლილ კვირის მანძილზე ხუთი კაცი გაიყინა ძლიერი სიცივეების შედეგად.

როგორც გაზეთი „მილიეთი" იუწყება, 4 კაცი დაიღუპა სირტის პროვინციაში და ერთი — ბურსის პროვინციაში (სტამბოლის სამხრეთით).

ნატოს სესია

პარიზი, 16 დეკემბერი. (საკდესი). ღღეს დამთავრდა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს მორიგი სესია, რომელიც აქ სამ დღეს მიმდინარეობდა. დასკვნითს კომუნიკეში ნათქვამია, რომ სესიაზე განხილეს ნატოს ფარგლებში ეგრეთწოდებულ „ატომური პასუხისმგებლობის განაწილებასთან" დაკავშირებული საკითხები. ნატოს გენერალურმა მდივანმა ბროზიომ საბჭოს წარუდგინა მოხსენება „სპეციალური კომიტეტის" შესახებ, რომელმაც უნდა შეისწავლოს ეს პრობლემა. ვიეტნამის მდგომარეობა, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სამხედრო ღონისძიებათა გაძლიერება, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა — ასეთია სხვა საკითხები, რომლებიც განხილეს ახლანდელ სესიაზე ნატოს წევრი 15 ქვეყნის საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და ფინანსთა მინისტრებმა.

ნატოს საბჭოს მორიგ სესიას მინისტრთა დონეზე მოიწვევენ ბრიუსელში 1966 წლის მაისის დამლეგს—ივნისის დამდეგს.

ანტიდემოკრატიული კანონის საუქვეულზე

ლონდონი, 17 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ დეპუტატის რწმუნებულებანი ჩამოერთვა სუდანის დამფუძნებელი კრების 8 კომუნისტ დეპუტატს. ამას იუწყება რეიტერის საგენტო ხართუმიდან.

დამფუძნებელი კრებიდან სუდანელი კომუნისტები გარიცხეს ანტიდემოკრატიული კანონის საფუძველზე სუდანის კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ, რომელიც ამ ქვეყნის პარლამენტმა მოიწონა მომდინარე წლის 9 დეკემბერს.

ამჟამად სუდანის დამფუძნებელ კრებაში დარჩა სამი კომუნისტი დეპუტატი, რომლებიც არჩეული არიან არა სუდანის კომუნისტური პარტიისაგან, არამედ დამოუკიდებელთა სიის მიხედვით. ამიტომ აღნიშნული კანონი მათზე არ ვრცელდება,

... ა. ა. გრომიკო: ჩვენი საუბრები უაღრესად სასარგებლო იყო

... ფანფანის

... ფედორენკოს

... ფ. მიტერანის

... ბლუმ

... ბროზიო

... ბედინაშვილ

ქართული ფილმი მსოფლიოს ეკრანებზე

გვესაუბრებიან კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე და სსრ კავშირის სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე

ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის ცნობილია, რომ ქართულ ფილმს „ჯარისკაცის მამას“ დიდი წარმატება ხვდა მოსკოვის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალზე. ამ ფესტივალიდან დაიწყო ტრიუმფალური მოგზაურობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ფილმი წარმატებით უჩვენეს საბერძნეთში, ირლანდიაში, იაპონიაში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში.

მრავალი სახელმწიფოს კინემატოგრაფისტთა მიწვევით „ჯარისკაცის მამის“ ავტორები რეჟისორი **რევაზ ჩხეიძე,** სცენარისტი **სულიკო ჟღენტი** და მთავარი როლის შემსრულებელი **სერგო ზაქარიაძე** დაესწრნენ ფილმის პრემიერას. რამდენიმე ხნის წინათ „ჯარისკაცის მამა“ წარდგენილ იქნა სან-ფრანცისკოს საერთაშორისო კინოფესტივალზე. ამ ტრადიციულ კინოფორუმზე, სხვა საბჭოთა კინემატოგრაფისტთა შორის, მიწვეული იყო რეჟისორი რევაზ ჩხეიძე, რომელიც სან-ფრანცისკოს ფესტივალის შემდეგ სერგო ზაქარიაძესთან და ლია ელიავასთან ერთად „ჯარისკაცის მამის“ პრემიერას დაესწრო უნგრეთში.

სერგო ზაქარიაძე, გარდა ამისა, მიწვეული იყო საბერძნეთსა და იაპონიაში, სადაც „ჯარისკაცის მამის“ პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

„კომუნისტის“ კორესპონდენტი ეწვია ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რევაზ ჩხეიძეს და სსრ კავშირის სახალხო არტისტს სერგო ზაქარიაძეს და სთხოვა თავიანთი შთაბეჭდილებები გაეზიარებინათ ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **რევაზ ჩხეიძე:**

სან-ფრანცისკოს მსოფლიო კინოფესტივალი ჩვენი პლანეტის კინოხელოვანთა ტრადიციულ ფორუმად გადაიქცა. იგი ყოველწლიურად იმართება. წინა წლებში ამ ფესტივალზე წარმოდგენილი იყო საბჭოთა ფილმები „ბალადა ჯარისკაცზე“, „მოწმენდილი ცა“, „ივანეს ბავშვობა“ და სხვები, რომლებსაც დიდი მოწონება ხვდათ. წლევანდელ ფესტივალზე საბჭოთა კავშირმა წარადგინა სერგეი ფარაჯანოვის „დავიწყებული წინასწარმეტყველება“ (კიევის დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდია) და ჩვენი „ჯარისკაცის მამა“.

ფესტივალის მუშაობაში აღსანიშნავია ერთი ასეთი სიახლე. ჟიური მუშაობდა ფესტივალის დაწყებამდე და წარდგენილი 560 ფილმიდან პროგრამაში დაუშვა მხოლოდ 18. მუშაობის ასეთი პროგრესული პრინციპი უკვე სხვა ფესტივალებზეც მკვიდრდება. მაგალითად, მომავალ წელს ვენეციის მსოფლიოს კინოფესტივალიც ამ პრინციპით იმუშავებს, რაც ხელს შეუწყობს საუკეთესო ფილმების საფუძვლიანად განხილვას.

სან-ფრანცისკოს კინოფესტივალში მონაწილეობდნენ საფრანგეთის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, მექსიკისა და სხვა სახელმწიფოთა კინემატოგრაფისტები.

ჩვენი ფილმების ჩვენების მეორე დღესვე გაზეთებმა ვრცელი რეცენზიები მიუძღვნეს ჩვენს კინოხელოვნებას. უნდა აღვნიშნო ჩემი კოლეგის სერგეი ფარაჯანოვის ფილმის „დავიწყებულ წინასწარმეტყველების“ წარმატება. საგაზეთო რეცენზიებში განსაკუთრებით

უსვამდნენ ხაზს ავტორის მიგნებას ფერების შერჩევაში.

„ჯარისკაცის მამა“ ფესტივალის საუკეთესო ფილმად აღიარეს. პრეს-კონფერენციაზე და საგაზეთო რეცენზიებში აღინიშნა ფილმის ჰუმანურობა, მისი ჟანრობრივი თავისებურება.

ფესტივალის დასასრულს ჩვენ გადმოგვცეს სან-ფრანცისკოს საერთაშორისო კინოფესტივალის დიპლომი, რომლითაც დააჯილდოეს „ჯარისკაცის მამა“.

ფესტივალის მსვლელობის დროს და მის შემდეგ ჩვენ გვქონდა საინტერესო შეხვედრები. საქმიან და გულითად ვითარებაში ჩაიარა შეხვედრამ „პოლივუდში“. ჩვენ გავეცანით და ვესაუბრეთ ამერიკული კინოს წარმომადგენლებს სტენლი კრამერს, ჯონ ფორდას, ელიზაბეტ ტეილორს, ლუის მაილსტონს, სიდნეი ჩაპლინს (ჩარლი ჩაპლინის უფროს შვილს), სტივენს-უმცროსს და სხვა ცნობილ ხელოვანს.

სტივენ-უმცროსმა, რომელიც მოსკოვის მეოთხე კინოფესტივალზე ამერიკის დელეგაციას მეთაურობდა, პირად საუბარში მითხრა: არასოდეს არ დამავიწყდება ის დღე, როცა „ჯარისკაცის მამა“ ვნახე, მით უმეტეს, რომ ამავე დღეს მოსკოვში ვიქორწინეთ (სტივენმა მართლაც თავისი ქორწინება მოსკოვში იდღესასწაულა).

ფესტივალის დამთავრების შემდგომ პერიოდში ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში იმართებოდა საბჭოთა ფილმების კვირეული. სერგო ზაქარიაძესა და ლია ელიავასთან ერთად მე ვესწრებოდი უნგრეთის რესპუბლიკაში საბჭოთა ფილმის კვირეულს.

უნგრეთში დაუვიწყარი შეხვედრები გვქონდა სტუდენტ ახალგაზრდობასთან, მოსწავლეებთან. დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა ფილმებს, განსაკუთრებით კი „ჯარისკაცის მამას“, პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ.

მაყურებლის ასეთი დაფასება და აღიარება დიდი და პასუხსაგები ამოცანების წინაშე გვაყენებს. განზრახული მაქვს განვაგრძო სერგო ზაქარიაძესთან შემოქმედებითი მეგობრობა და ახლო მომავალში შევქმნათ ფილმი, რომელიც ასახავს ქართველი ადამიანის მორალურ სიმაღლეს, მის პატრიოტიზმს. თუ რა კონკრეტულ მასალაზე იქნება აგებული ეს ფილმი, ამას მკითხველი ახლო მომავალში შეიტყობს.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი **სერგო ზაქარიაძე:**

საბერძნეთსა და იაპონიაში მიწვევა რომ მივიღე, ჩემთვის მოულოდნელი არ იყო, რადგან ჯერ კიდევ მოსკოვის მეოთხე მსოფლიო კინოფესტივალზე გავიცანი კოლეგები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან, საფრანგეთიდან, კვიპროსიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ვიეტნამიდან და სხვა სახელმწიფოებიდან და მათ იქვე გამოთქვეს სურვილი დავსწრებოდი მათთან ჩვენი ფილმის პრემიერას.

„კომუნისტის“ მკითხველისათვის უკვე ცნობილია, თუ როგორი შეფასება ხვდა ფილმს საბერძნეთში. ამიტომ მოკლედ მოგახსენებთ იაპონიაში ჩემი მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე. როგორც ცნობილია, იაპონიაში ტარდებოდა საბჭოთა ფილმის კვირეული, რომელზეც საბჭოეთის კინოხელოვანთა დელეგაცია იყო მიწვეული რსფსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ა. ფილიპოვის მეთაურობით.

კვირეულზე ჩავიტანეთ ექვსი ფილმი. ეს გახლდათ „ჯარისკაცის მამა“, „ავრორას ზალპი“, „დიდი სამამულო“, „დიდი ბალეტი“ და 2 მოკლემეტრაჟიანი ფილმი. კვირეული ჩატარდა სამ ქალაქში — ტოკიოში, ოსაკასა და ხიროსიმაში. ამავე დღეებში მოსკოვში, ვლადივოსტოკსა და კიევში მოეწყო იაპონური ფილმების კვირეული. როგორც შემდეგ შევიტყეთ, ამ კვირეულმაც წარმატებით ჩაიარა.

იაპონიაში ჩასვლისთანავე გვქონდა პრეს-კონფერენცია და ხელოვნების მუშაკებთან და კინოფირმების ხელმძღვანელებთან შეხვედრა. იაპონელებმა საბჭოთა კინოხელოვნებისადმი უაღრესად დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს.

ჩვენდა სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ ფილმს „ჯარისკაცის მამას“ დიდი წარმატება ჰქონდა. ცნობილი რეჟისორი კუროსავა სურათის გამარჯვებას იმით ხსნიდა, რომ ქართველი გლეხი გ. მახარაშვილი ძალიან ჰგავს იაპონელსო. რა თქმა უნდა, მას მხედველობაში გარეგნული მსგავსება კი არ ჰქონდა, არამედ ის ადამიანური თვისებები, რომელთა მატარებელია ჩვენი სურათის გმირი.

არ შემიძლია განვახსოვო, იაპონიის რომელ ქალაქში უფრო მეტი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენმა ფილმმა. ეს ალბათ იმითაც აიხსნება, რომ იაპონელმა ხალხმა თავის თავზე გამოსცადა ომის საშინელება და მისი ტრაგიკული შედეგები. განმაცვიფრა „ავტოგრაფის“ მოყვარულთა კარგად ორგანიზებულმა რიგმა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი მოგზაურობის ზუსტი გეგმა, რომლის მიხედვით ყოველთვის დატვირთული ვიყავით. იაპონელები დაინტერესებული იყვნენ ეჩვენებინათ ჩვენთვის ყოველივე საამაყო.

ჩვენ დიდი ინტერესით დავათვალიერეთ ეს საოცარი ქვეყანა—მართლაც და ამომავალი მზის ქვეყანა. გავეცანით უძველეს და უმდიდრეს კულტურას მისი უნიკალური ნიმუშებით. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე ეროვნულმა გალერიამ, სადაც ერთ შენობაში საოცარი გემოვნებით გამოფენილია ძველი და ახალი ხელოვნების ნიმუშები.

ჩვენ ვიმოგზაურეთ მატარებლით, რომლის სიჩქარე ხაათში 230 კილომეტრს აღწევს. ძალიან მოგვეწონა მინიატიურული ბაღები, რომელთა სიგრძე 2-3 მეტრს არ აღემატება. კაბუკის თეატრში დავესწარით სეზონის გახსნისათვის მომზადებული სპექტაკლის „ერის ტკივილების“ გენერალურ რეპეტიციას.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქალაქი ხიროსიმა, რომელიც ომის წლებში ტრაგიკული ბედით ყველასათვის ცნობილი გახდა. ამჟამად ეს ქალაქი გაუშენებიათ უდიდესი გემოვნებით. ქუჩების სიგანე 100 მეტრს აღემატება. ვნახეთ ადგილი, სადაც ამერიკული თვითმფრინავიდან ვერაგულად ჩამოგდებულმა ატომურმა ბომბმა იმსხვერპლა ხიროსიმის მცხოვრებნი. ამ ადგილზე ახლა გაშენებულია ვეებერთელა პარკი, რომელიც მშვიდობის სახელს აჯარებს. ცენტრში დგას გაოცარი სილამაზისა და არქიტექტურულად უბრწყინვალესად გაფორმებული ლოდი, რომელიც ატომური ბომბის მსხვერპლთა სახელებს ინახავს.

ამ ტრაგედიის მოგონება სევდის მომგვრელი და ჩამაფიქრებელია, მაგრამ ყოველივე ის, რაც ამ პარკში შეუქმნიათ, ოპტიმიზმის მატარებელია.

მოგზაურობის ბოლოს შევიტყეთ, რომ იაპონიის კინოგაქირავების მესვიეურებს გადაეწყვიტათ ჩვენი ფილმების შეძენა. მე, როგორც ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი, და რევაზ ჩხეიძე, როგორც ფილმის ავტორი, მიწვეული ვართ ტოკიოში „ჯარისკაცის მამის“ პრემიერაზე, რომელიც გაიმართება ფილმის იაპონურ ენაზე დუბლირების შემდეგ. ძნელია იმის თქმა, შეიძლებთ თუ ვერა ამ პრემიერაზე დასწრებას. მაგრამ მთავარი და, ბუნებრივია, ჩემთვის სასიხარულო ის არის, რომ ჯიორგი მახარაშვილის ფართო ნაბიჯებმა ამომავალი მზის ქვეყნამდეც მიაღწია და იქაც მიიტანა ქართველი კაცის კეთილი და პატრიოტული ხასიათი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — (მარცხნიდან მარჯვნივ) რევაზ ჩხეიძე, ტატიანა ფატეევა, სტენლი კრამერი და რობან კარმენი „პოლივუდში“; ქვემოთ — ტოკიოს ხელოვნებისა და კულტურის დარბაზში „ჯარისკაცის მამის“ პრემიერის შემდეგ კინოინსტიტუტის სტუდენტი თაიგულს გადასცემს სერგო ზაქარიაძეს.

ო. ჯუმბურიძე— მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ქირურგიის კათედრის დოცენტმა **ოთარ გიორგის-ძე ჯუმბურიძემ** თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„კუჭის წყლული და გასტრო-ჰეპატო-პანკრეატიკო-დუოდენალური სისტემა“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ო. ჯუმბურიძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

საფრანგეთის პრემია ქართველ ლიტერატორს

პარიზი, 16 დეკემბერი. (საქდესი). დღეს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიაში საბჭოთა ლიტერატორს დოქტორ ს. წულაძეს გადაეცა ლანგლუას სახელობის პრემია.

თბილისელ მეცნიერს ეს პრემია მიანიჭეს ქართულიდან ფრანგულად „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისათვის.

,,კომუნისტის“ მკითხველებს

ჩვენი საახალწლო კონკურსი

ბიბლიოთეკა

ძვირფასო მეგობრებო!

ახალ წელს თავისი ახალი სიხარული, ახალი საზრუნავი მოაქვს. ჩამოჰკრავს თორმეტი, და კარს ფეხბედნიერი მეკვლე შემოაღებს... ახალ წელიწადს მხიარულება შვენის. ამ დღეს ხომ მართლაც ბევრი რამ სამხიარულო, უჩვეულო, მოულოდნელი, ღიმილის მომგვრელი ხდება!

თქვენ რობორა გაქვთ წარმოდგენილი ახალი წლის ეს პირველი დღე? აი სწორედ ეს არის ჩვენი კონკურსის თემა.

ველით თქვენს საახალწლო მხიარულ, გონებამახვილურ ლექსებსა და პატარა მოთხრობებს, ნოველებს, ფელეტონებს, სხარტულებს, ნახატებსა და ფოტოსურათებს.

ის ნაწარმოებები, რომლებსაც კონკურსის ჟიური საუკეთესოდ მიიჩნევს, გამოქვეყნდება „კომუნისტის“ საახალწლო ნომრებში.

იჩქარეთ, ახალ წლამდე დიდი დრო აღარ დარჩენილა, მეგობრებო! კონკურსის უკანასკნელი ვადაა 28 დეკემბერი. კონვერტს ჩვენს მისამართთან ერთად დაწერეთ „კონკურსისათვის“.

,,ჯარისკაცის მამა“ ინგლისში

ლონდონი, 17 დეკემბერი. (საკდესის კორესპონდენტი ს. ივანოვი) „სელტიკის“ გუნდი — კიეველ დინამოელთა მომავალი მეტოქე თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში — შოტლანდიის ფეხბურთელთა ორ გუნდს შორის ერთ-ერთი ცნობილი გუნდია. „სელტიკი“ და „რეინჯერსი“ მუდმივი მეტოქენი არიან. „სელტიკი“ 17-ჯერ იყო თასის მფლობელი და 20-ჯერ შოტლანდიის ჩემპიონი. შოტლანდიის ლიგის პირველობის წლევანდელ გათამაშებაში „სელტიკი“ მისდევს ცხრილის მეთაურს „რეინჯერსს“.

ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში „სელტიკმა“ ითამაშა ოთხი თამაში, მოიპოვა ოთხი გამარჯვება და თავის კარში არ გაუშვა არც ერთი ბურთი! წინასწარ შეხვედრაში „სელტიკმა“ დაამარცხა პოლანდიის გუნდი „გოუ ეგედი“ — 6:0 და 1:0, ხოლო მერვედ ფინალში დაამარცხა დანიის „ორხუსი“ — 2:0 და 1:0.

„სელტიკის“ გუნდში თამაშობს შოტლანდიის ნაკრების ოთხი მოთამაშე: მცველი მაკნეილი, ნახევარმცველი მარდოკი, ფორვარდები ჯონსტონი და ჰიუჯი.

კიეველები 16 მარტამდე ორჯერ შეხვდებიან შოტლანდიელ ფეხბურთელებს შინ და გლასგოში.

,,კომუნისტი“ — სპორტი

,,ოქრო“ და „გრინჯაო“

საქართველოს მთამსვლელთა წარმატება

გაიმართა სსრ კავშირის მთამსვლელთა პირველობის მსაჯთა მთავარი კოლეგიის სხდომა, რომელმაც განიხილა მიმდინარე წლის ასვლები.

ტრავერსების კლასში სსრ კავშირის ჩემპიონობა მიეკუთვნათ ქუთაისელ მთამსვლელებს — მ. ხერგიანს (უმცროსი), გ. წერედიანს, ჯ. გუშავაძს, ვ. გაბელავვილს, ჯ. კახიანს. ოქროს მედლები მოპოვებულია აილამა-ბეზინგის ტრავერსისათვის.

სასიმაღლო ტექნიკური ასვლების კლასში თბილისის „განთიადის“ მთამსვლელთა ჯგუფმა მესამე ადგილი მოიპოვა. ბრინჯაოს მედლები მოიპოვა ავრეთვე საქართველოს ალპური კლუბის მთამსვლელთა ჯგუფმა ტექნიკური რთული ასვლების კლასში.

მსაჯთა მთავარი კოლეგიის გადაწყვეტილება დაამტკიცა ალპინიზმის საკავშირო ფედერაციამ.

,,ევროპის ჩემპიონთა თასზე“

გუშინ ლენინგრადში დაიწყო ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება წყალბურთში. აქ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან — სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდთან ერთად გამოდიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, შვეიცარიისა და ფინეთის გუნდები. პირველ მატჩში საბჭოთა წყალბურთელებმა დაამარცხეს შვეიცარის გუნდი ანგარიშით 4:0.

,,ბალტიკა“ — ,,ბალტიკა“

ბალტიკა. 17 დეკემბერი. (საკდესი). ალტის ჩეხოვის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკაში აღმოაჩინეს ასზე მეტი წიგნი, რომლებიც ეკუთვნის ვ. ეემჩუჟნიკოვს — ერთ-ერთ იმ მწერალთაგანს, რომლებიც კოზმა პრუტკოვის ფსევდონიმით წერდნენ. ამ წიგნების სატიტულო ფურცლებზე არის ინიციალები „ვ. ე.“ ხოლო მეორე გვერდზე ეფსლბრისი და დევიზი: „სიმართლით, სიყვარულითა და პატიოსნებით“.

ნაპოვნ წიგნებს შორის არის წიგნები რუსეთის ისტორიის, ფილოლოგი ს. ფოლკლორის შესახებ.

ამ ფიქრით კოლექციაში არის აგრეთვე მ. ლომონოსოვის ცნობილი „რუსული გრამატიკა“.

ფილა.
ფოტოტეტუდი ს. კილაძისა.

,,ბალტიკა“ — ,,ბალტიკა“

ბალტიკა, 17 დეკემბერი. (საკდესი). „ბალტიკა“ — „ბალტიკა“ ... ...